დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
01.11.22

დასკვნის წარდგენის თარიღი

05.12.2022

თბილისი

შინაარსი

I. 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 16

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206046045
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვთისო მამისიმედიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Georgian language preparation educational program
უმაღლესი განათლების საფეხური	-
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	-
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	მე-4 საფეხური
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 23.06.2017 წ. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება **N33**
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე (აფხაზურად/აზერბაიჯანულად/ სომხურად/ოსურად) ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა. ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე სტუდენტთა მიღების შესახებ შესაბამისი წესის პირობების დაკმაყოფილება.

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

	სტუდენტისათვის შესაბამისი ბლოკის შერჩევა ხორციელდება პირველი სემესტრის დასაწყისში გავლილი პრეტესტის შედეგების საფუძველზე.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2017 წლიდან.

პროგრამის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ ქართული ენა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით განსაზღვრული B2 დონეზე, რათა სრულყოფილად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში და სწავლა გააგრძელონ უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე, ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ქართული ენის სწავლება, რათა შემსწავლელმა შეძლოს სრულყოფილი კომუნიკაცია ქართულ ენაზე განსხვავებული საკომუნიკაციო მიზნებით; სხვადასხვა ჟანრისა და სტილის ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაგება-გააზრება და შექმნა, ქართული სოციალურ-კულტურული რეალიების აღიარება და პატივისცემა; შემდგომში ქართული ენის ცოდნის გაღრმავება დამოუკიდებლად.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 2 22 0001337135 (21/10/2022) თანახმად, 2021 წლის პირველ ნოემბერს შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი, სოფიო უგრეხელიძე. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირეული დოკუმენტაცია და დაიწყო გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინ-ტერვიუს დროს პროგრამის შესაბამისობის დადგენის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან.

დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

რეკომენდებულია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში დეტალურად აისახოს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კანონით განსაზღვრული მიზნები.

რეკომენდებულია, შპს თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა გამოაცხადოს მიღება საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შესაბამისი საგნების ჩაბარებით შეძლებენ სწავლა გააგრძელონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

რეკომენდებულია, შპს თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა დაგეგმოს სტრატეგია და იმუშაოს საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სკოლადამთავრებული აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტების მოსაზიდად.

რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმს დაემატოს საგანი, რომელიც უზრუნველყოფს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ინტერკულტურული კომპონენტის სწავლებას.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შიდა ხარისხის მექანიზმების, მათ შორის, პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების სისტემის შექმნა, რომელიც მოემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და არ იქნება დამოკიდებული ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების პირდაპირ კომუნიკაციაზე საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირებსა და სტუდენტებთან.

საგანს: ქართული ენა (მოსმენა-ლაპარაკი) 2 10 ECTS. დაემატოს წერისა და კითხვის სწავლების კომპონენტებიც.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის მდგრადობისათვის სასურველია, სწავლების შემდეგ საფეხურზე, ბაკალავრიატში დაემატოს ქართული ენის არჩევითი კურსები ქართული ენა 1 და ქართული ენა 2.

სასურველია, რომ უსდ-ის საბიბლიოთეკო ფონდი შეივსოს სასწავლო კურსებში მითითებული დამხმარე ლიტერატურაც, რათა უსდ-ის სტუდენტებს, რომლებიც ნაკლებად ან საერთოდ არ იცნობენ თბილისს, არ მოუხდეთ, საჭირო, დამატებითი ლიტერატურის მოძიება ქალაქის სხვა ბიბლიოთეკებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებულია, რომ რეკომენდაციების ნაწილი სრულად არის გაზიარებული, ხოლო ნაწილი - ნაწილობრივ. კერძოდ:

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში დეტალურად აისახოს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კანონით განსაზღვრული მიზნები.

გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, შპს თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა გამოაცხადოს მიღება საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

შესაბამისი საგნების ჩაბარებით შეძლებენ სწავლა გააგრძელონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.
სრულად გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, შპს თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა დაგეგმოს სტრატეგია და იმუშაოს საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სკოლადამთავრებული აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტების მოსაზიდად.

სრულად გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმს დაემატოს საგანი, რომელიც უზრუნველყოფს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ინტერკულტურული კომპონენტის სწავლებას.

ნაწილობრივ გაზიარებულია დაწესებულების მიერ. კერძოდ, დაწესებულების აზრით, პროგრამის ავტორებს გაცნობიერებული აქვთ ამ კომპონენტის მნიშვნელობა მეორე ენის სწავლა-სწავლების პროცესში. ამდენად, საგნების უმრავლესობაში თემატურად არის ასახული სოციოკულტურული და ინტერკულტურული კომპეტენციის განმავითარებელი აქტივობები და თემატიკა (ტოპიკები).

ექსპერტთა შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული საგნების თემებში არის ასახული ინტერკულტურული ასპექტები, მნიშვნელოვანია, პროგრამა შესაბამისობაში იყოს დარგობრივ მახასიათებელთან.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შიდა ხარისხის მექანიზმების, მათ შორის, პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების სისტემის შექმნა, რომელიც მოემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და არ იქნება დამოკიდებული ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების პირდაპირ კომუნიკაციაზე საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ პირებსა და სტუდენტებთან.

სრულად გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

რეკომენდაცია:

საგანს: ქართული ენა (მოსმენა-ლაპარაკი) 2 10 ECTS. დაემატოს წერისა და კითხვის სწავლების კომპონენტებიც.

ნაწილობრივ გაზიარებულია დაწესებულების მიერ. კერძოდ, უნივერსიტეტის განმარტებით, ამგვარი დაყოფა პირობითია და ზუსტი საზღვრების დადგენა რთულია ენის კომპონენტებს შორის. წერა და კითხვა ყოველ საგანში თანამონაწილეობს და ასევე, დარგობრივი ენის კომპონენტი სრულად ფარავს აღნიშნული უნარების განვითარებას.

ექსპერტთა შეხედულებით, ენის სწავლების ოთხივე კომპონენტით სწავლების მეთოდოლოგია: წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი, გამოიყენება სხვადასხვა საგნის სწავლების დროს, თუმცა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში, მეორე სემესტრში მითითებულია სასწავლო კურსი ქართული ენა (მოსმენა-ლაპარაკი) 2 იგულისხმება, რომ ამ საგანში განსაკუთრებული ყურადღება სწორედ აღნიშნულ კომპონენტებს ეთმობა და არ არის შემდგომი ორი კომპონენტის შემცველი საგანი. შესაბამისად, ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია, საგანს ქართული ენა (მოსმენა-ლაპარაკი) 2 დაემატოს წერისა და კითხვის სწავლების კომპონენტებიც, რომ არ გაჩნდეს პროგრამაში დამატებითი საგნის ქართული ენა (წერა-კითხვა) 2 საჭიროება.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილია ექსპერტების მიერ გამოთქმული რჩევების შესახებ მსჯელობაც.

კერძოდ, დაწესებულება მიუთითებს, რომ ექსპერტების მიერ გამოთქმული ორივე რჩევა:

პროგრამის მდგრადობისათვის სასურველია, სწავლების შემდეგ საფეხურზე, ბაკალავრიატში დაემატოს ქართული ენის არჩევითი კურსები ქართული ენა 1 და ქართული ენა 2.

სასურველია, რომ უსდ-ის საბიბლიოთეკო ფონდი შეივსოს სასწავლო კურსებში მითითებული დამხმარე ლიტერატურაც, რათა უსდ-ის სტუდენტებს, რომლებიც ნაკლებად ან საერთოდ არ იცნობენ თბილისს, არ მოუხდეთ, საჭირო, დამატებითი ლიტერატურის მოძიება ქალაქის სხვა ბიბლიოთეკებში.

სრულიად გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ ქართული ენა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით განსაზღვრული B2 დონეზე, რათა სრულყოფილად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში და სწავლა გააგრძელონ უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე, ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური მიზნებია: წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე (B2 დონე); აკადემიური მიზნებისათვის ქართული ენის შესწავლა. სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა მიზნით, განსხვავებული ტიპის ტექსტების (ზეპირი / წერილობითი)ადეკვატურად გაგება და შექმნა: ზეპირი / წერილობითი ტექსტების სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება; ქართული ენის ცალკეული უნარების (მომსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) შემდგომი გაღრმავება, გრამატიკული სტრუქტურის დაუფლება და ლექსიკის გამდიდრება; ქართული ენობრივ-კულტურული გარემოსა და ღირებულებების გაცნობა, დაფასებისა და პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება; დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც დაწესებულების მიერ დეკლარირებულია შემდეგნაირად: თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადება, პიროვნების განვითარებასა და ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებაში თავისი წვლილის შეტანა.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს ქართულ ენაში ენობრივი ბარიერის გადალახვაში, ქართული ენის შესწავლაში, რათა პროგრამის კურსდამთავრებულმა შეძლოს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სწავლის გაგრძელება და სრულფასოვნად ჩართვა სასწავლო პროცესში.

აღსანიშნავია, რომ შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც 2017 წლიდან არის აკრედიტებული, ყველა პირი ჩარიცხულია უცხოეთი მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის “ჰ35” პუნქტის თანაახმად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომლითაც ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებული პირების მიერ ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) იმ დონეზე შეძენა, რომელიც აუცილებელია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გარდა აღნიშნულისა, ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს 2019 წლის 7 მარტის სხდომის N1 ოქმის დანართი 2-ით დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლის თანახმად: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ძირითად შემთხვევაში განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანული, სომხური, ოსური, რუსული, აფხაზურენოვანი სკოლა; დღეს არსებული რეალური სიტუაცია ამ ტიპის სკოლებში ვერ უზრუნველყოფს არაქართულენოვანი აბიტურიენტების კონკურენტუნარიანობას ქართულენოვან სკოლადამთავრებულ აბიტურიენტებთან, რის გამოც სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში, ყველა უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებულიყო ერთწლიანი (60 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის გულისხმობს კვოტის (სტუდენტთა მისაღები სრული კონტიგენტის 5-5 პროცენტი - აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი, 1-1 პროცენტი - აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის) შემოღებას ყველა (როგორც სახელმწიფო, ასევე - კერძო სასწავლებელში)”.

ყოველივე ზემოხსნებულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას რატომ არ გამოუცხადებია მიღება აღნიშნულ პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა განცხადებით, უნივერსიტეტს მიზნად აქვს საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სკოლადამთავრებული აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტებისთვისაც გამოაცხადოს მიღება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზანი პირველ რიგში, კანონმდებლობის თანახმად, საქართველო მოქალაქე ეთნიკური

უმცირესობის წარმომადგენელთა უმაღლესი განათლების ქართულ ენაზე მიღების პროცესში ინტეგრაცია და მათი დახმარებაა ენობრივი ბარიერის დაძლევაში, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა, გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პირთა ჩარიცხვისა, ასევე უზრუნველყოს ამ პროგრამაზე მსურველთა მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების გზითაც.

ამასთან, ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ მიზნების დაზუსტება არ გამოიწვევს საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმისა და სწავლის შედეგების ცვლილებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შპს თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, რათა პოპულარიზაცია გაუწიოს აღნიშნულ პროგრამას საქართველოს მოქალაქე მიზნობრივი ჯგუფებისათვის. .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიზია;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის (07. 03. 2019) ოქმის #1 დანართი #2
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ დოკუმენტის #2078 17/11/2009 https://matsne.gov.ge/ka/document/view/90580?publication=0
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში დეტალურად აისახოს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კანონით განსაზღვრული მიზნები.
- რეკომენდებულია, შპს თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა გამოაცხადოს მიღება საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შესაბამისი საგნების ჩაბარებით შეძლებენ სწავლა გააგრძელონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

- რეკომენდებულია, შპს თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა დაგეგმოს სტრატეგია და იმუშაოს საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სკოლადამთავრებული აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტების მოსაზიდად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	X	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტმა მიიღოს ცოდნა ქართულ ენაში B2 დონეზე ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით.
პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით.

ცოდნა და გაცნობიერება: აქვს საბაზისო ცოდნა ზოგადად ქართულ ენასა და მის მნიშვნელობაზე; ფლობს ქართული ენის საბაზისო ლექსიკურ მარაგს; იაზრებს ქართული ენის სისტემის (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთქმედებას.

უნარი: პრაქტიკულად იყენებს ქართულ ენას საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისათვის; აქვს ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის (დარგობრივი მიმართულებების

მიხედვით) ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუცირების უნარი.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: შეუძლია ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის / თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; ისმენს განსხვავებულ მოსაზრებებს და პატივს სცემს მათ; აყალიბებს საკუთარ პოზიციას ეთიკის ნორმების დაცვით;

აღიქვამს კულტურულ განსხვავებულობას და ტოლერანტულია სხვა კულტურათა მიმართ; პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს.

პროგრამაში აღწერილია სწავლების ენობრივი კომპეტენციები, რომელიც შეესაბამება ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას, B2 დონეს (მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი #7 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს.)
ლინგვისტური კომპეტენცია: ლექსიკური ერთეულების დაკავშირება და ენობრივ სტრუქტურებად/ფრაზებად გარდაქმნა, სწორი ლინგვისტური კონსტრუქციების აგება;

სოციოლინგვისტური კომპეტენცია: საკომუნიკაციო ამოცანისა და კონტექსტის შესაბამისი ფორმების შერჩევა და რეალიზება ზეპირ და წერილობით ტექსტებში;

სოციალური კომპეტენცია: სოციალური კონტექსტისათვის შესაფერისი ვერბალური თვითგამოხატვის უნარი;

სტრატეგიული კომპეტენცია: საჭიროების შემთხვევაში ლინგვისტური დეფიციტის აღმოფხვრის უნარი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური გზებით;

დისკურსული კომპეტენცია: ზეპირი და წერილობითი ტექსტის ნაწილების გამოყოფისა და მათ შორის კავშირის დადგენის უნარი.

მთლიანობაში, დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს, ასევე, დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან და ითვალისწინებს იმ სწავლის სფეროს ძირითად თავისებურებებს, რომელშიც ერთიანდება პროგრამა. პროგრამაში მითითებული კომპეტენციები, რომელსაც სტუდენტი იძენს დასრულებისას, ლოგიკურია და მიიღწევა პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტების დაძლევის შედეგად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

- ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა (მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი #7 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს.)

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მოიცავს სწავლის შედეგების აღწერას და მათი შეფასების მექანიზმების განსაზღვრას.

სწავლის შედეგებში აღწერილია ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომელიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის შედეგების შეფასების პროცესი კი მოიცავს სწავლის შედეგების გაზომვისათვის საჭირო მექანიზმების განსაზღვრას, მონაცემების შეგროვებას და ანალიზს.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ხორციელდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე - ყოველი სემესტრის ბოლოს; სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე მითითებულია პროგრამის მიზნებთან შესაბამისობით თითოეული სასწავლო კურსის შედეგი და მისი შეფასების მეთოდები და მექანიზმები.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან შედარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 60 ECTS კრედიტისაგან. პროგრამის სწავლის ხანგრძლივობაა 1 აკადემიური წელი, 2 სემესტრი.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის (07. 03. 2019) ოქმის #1 დანართი #2 მიხედვით, განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები და ჯგუფებში სტუდენტთა გადანაწილების დამატებითი პირობები. კერძოდ, სტუდენტთა გადანაწილება უნდა მოხდეს ქართულ ენაში ჩატარებული წინასწარი გამოცდის შედეგების საფუძველზე წერითი და კითხვის უნარების დასადგენად წერილობითი პრეტესტის, ხოლო

მოსმენა-ლაპარაკის კომპეტენციების განსასაზღვრად, ზეპირი ინტერვიუს ჩატარება. ტესტირების საფუძველზე სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე საწყისი ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შედეგად უნდა მოხდეს სტუდენტების სხვადასხვა დონის (A და B ბლოკის) ჯგუფებში გადანაწილება. აღნიშნული გულისხმობს პირველ სემესტრში ინტენსიურ კურსებს და მეტი საკონტაქტო საათების რაოდენობას, ტუტორის აქტიურ დახმარებას A ბლოკისათვის, ხოლო მეორე სემესტრიდან სტუდენტებისათვის ერთნაირი საკონტაქტო საათებით სწავლებას.

უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაყოფილია სტუდენტთა საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით სწავლების პირველ სემესტრში. პროგრამის მიხედვით, პირველ სემესტრში შეთავაზებულია A და B ბლოკებისათვის საგნები, სადაც A ბლოკისათვის ინტენსიური სასწავლო კურსია შეთავაზებული.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 60 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

30 ECTS კრედიტი ეთმობა ქართული ენის სამეტყველო ფუნქციებს -1/2 (ლაპარაკი, მოსმენა) კითხვა, წერა (1).

10 ECTS კრედიტი ეთმობა დარგობრივი ენის (2) სასწავლო კურსს.

10 ECTS კრედიტი განკუთვნილია ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის (1/2) კურსისათვის

10 ECTS კრედიტი განკუთვნილია ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკის (1/2) კურსისათვის.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, “ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის” აუცილებელ კომპონენტად განიხილება ინტერკულტურული კომპეტენციების სწავლება. მართალია, ცალკეული საგნებში, როგორიცაა ქართული ენა მოსმენა-ლაპარაკი და სხვ. ნაწილობრივ ჩართულია თემა საქართველოს კუთხეების შესახებ და სხვ., თუმცა ეს თემები სრულად ვერ ფარავს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ აუცილებელ კომპონენტს. შესაბამისად, მიზანეწონილია, დაწესებულება უზრუნველყოს პროგრამის კურიკულუმით დარგობრივი მახასიათებლის ამ მოთხოვნის სრულად დაფარვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თჰუ-ს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა);
- პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის (07. 03. 2019) ოქმის #1 დანართი #2
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმს დაემატოს საგანი, რომელიც უზრუნველყოფს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ინტერკულტურული კომპონენტის სწავლებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	X	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგროგრამა შედგება 60 კრედიტისაგან და მთლიანად შედგება სავალდებულო საგნებისაგან. სასწავლო კურსების კრედიტები შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N3 გათვალისწინებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის საქმიანობა გულისხმობს შემდეგს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მეცადინეობას, შუალედური და ფინალური გამოცდებისათვის მომზადებასა და ჩაბარებას და ფასდება კრედიტით. თითო კრედიტი 25 ასტრონომიული საათია.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები ძირითად შემთხვევაში შეესაბამება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელს. სილაბუსებში დეტალურადაა აღწერილი: სემესტრი, კრედიტების რაოდენობა, კურსზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, შედეგები და გამოყენებული მეთოდები, შეფასების სისტემა, სასწავლო მასალა და თემები, რომლებიც განაწილებულია თექვსმეტ სასწავლო კვირაზე, ასევე სავალდებულო სახელმძღვანელოები (გვერდების მითითებით) და დამატებითი ლიტერატურა, ფინალური, შუალედური და სხვა აქტივობების შეფასებების სქემები.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 60 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

30 ECTS კრედიტი ეთმობა ქართული ენის სამეტყველო ფუნქციებს -1/2 (ლაპარაკი, მოსმენა) კითხვა, წერა (1).

10 ECTS კრედიტი ეთმობა დარგობრივი ენის (2) სასწავლო კურსს.

10 ECTS კრედიტი განკუთვნილია ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის (1/2) კურსისათვის

10 ECTS კრედიტი განკუთვნილია ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკის (1/2) კურსისათვის.

სწავლების პირველ სემესტრში, როგორც უკვე აღინიშნა, სტუდენტთა გადანაწილება ხდება საწყისი ენობრივი კომპეტენციების მიხედვით და შეთავაზებულია შემდეგი საგნები:

I ბლოკი

ქართული ენა (კითხვა, წერა) 1. 1. - 10 ECTS

ქართული ენა (მოსმენა, ლაპარაკი) 1. 1. - 10 ECTS

ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1. 1.- 5 ECTS

ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა 1. 1.- 5 ECTS

II ბლოკი

ქართული ენა (კითხვა, წერა) 1. 2. - 10 ECTS

ქართული ენა (მოსმენა, ლაპარაკი) 1. 2. - 10 ECTS

ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1. 2.- 5 ECTS

ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა 1. 2.- 5 ECTS

სწავლების მეორე სემესტრში შეთავაზებულია შემდეგი საგნები:

ქართული ენა (მოსმენა-ლაპარაკი) 2 10 ECTS

ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2 5 ECTS

ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა 2 5 ECTS

ასევე, დარგობრივი ენის სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები, რომელთაგან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს მომავალი საბაკალავრო პროგრამის სპეციალობის გათვალისწინებით:

დარგობრივი ენა - ფილოლოგია 10 ECTS

დარგობრივი ენა - ფსიქოლოგია 10 ECTS

დარგობრივი ენა - ტურიზმი 10 ECTS

დარგობრივი ენა - მედიცინა 10 ECTS

დარგობრივი ენა - სამართალი 10 ECTS

დარგობრივი ენა - ბიზნესი და ეკონომიკა 10 ECTS

პირველი და მეორე სემესტრის სასწავლო კურსები ძირითად შემთხვევაში, ლოგიკურად ებმის ერთმანეთს, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც ცნობილია, ენის სწავლება

მიმდინარეობს ოთხი კომპონენტის, წერის, კითხვის, მოსმენისა და ლაპარაკის მიხედვით. მეორე სემესტრში გათვალისწინებულია სასწავლო კურსი ქართული ენა (მოსმენა-ლაპარაკი) 2 10 ECTS. მიზანშეწონილია, აღნიშნულ სასწავლო კურსს დაემატოს წერისა და კითხვის სწავლების კომპონენტებიც.

პროგრამის კურსდამთავრებულებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია ქართული ენის არჩევითი კურსების არსებობა შემდეგ საფეხურზე, რათა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს უფრო მდგრადი. უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი აპირებს მომავალში შექმნას ენათა ცენტრი და ქართული ენის არჩევითი კურსები დამატებითი გადასახადის საფუძველზე შესთავაზონ დაინტერესებულ სტუდენტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თჰუ-ს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა);
- პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის (07. 03. 2019) ოქმის #1 დანართი #2
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსს
- ქართული ენა (მოსმენა-ლაპარაკი) 2 10 ECTS. დაემატოს წერისა და კითხვის სწავლების კომპონენტებიც.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მდგრადობისათვის სასურველია, სწავლების შემდეგ საფეხურზე, ბაკალავრიატში დაემატოს ქართული ენის არჩევითი კურსები ქართული ენა 1 და ქართული ენა 2.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: საქართველოს მოქალაქის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და სომხურენოვანი ტესტების წარმატებით ჩაბარება (მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა);

ამასთან, პროგრამის გავლის უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულ პირებს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, საჯაროა და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის. ამასთან, დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების პროგრამაზე მიღებას და შეესაბამება მისაღწევ შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თჰუ-ს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო გეგმა);
- უმაღლესი განათლების შესახებ კანონი (მუხლი 52.5) https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=97
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის (07. 03. 2019) ოქმის #1 დანართი #2
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს უვითარდება შემდეგი უნარები: ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით (მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი #7 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს) განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში:

ცოდნა-გაცნობიერება: იცის ქართული ენის სტრუქტურა, ლექსიკური შემადგენლობა; აცნობიერებს ქართული ენის როლსა და რაობას.

უნარი: ისმენს, კითხულობს და ვერბალურად და წერილობით ქმნის ქართულ ენაზე სხვადასხვა ჟანრისა და ფუნქციის ტექსტებს; ენას პრაქტიკულად იყენებს რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში (მათ შორის, სასწავლო კონტექსტში); იყენებს კომუნიკაციური ამოცანის რელევანტურ ენობრივ სტილს; აყალიბებს თავის პოზიციას და ლოგიკურად ასაბუთებს; აანალიზებს, კრიტიკულად აფასებს ინფორმაციას როგორც წერილობით, ისე ზეპირად; გამოავლენს ტექსტში არსებულ პრობლემებს, ძირითად და მეორეხარისხოვან ინფორმაციას; ქართულ ენაზე ურთიერთობს სასწავლო და არასასწავლო გარემოში.

